განკარგულება:**გ-31.31203311**
თარიღი:**26/11/2020**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №55

2020 წლის 26 ნოემბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად,

მუხლი 1. მოწონებულ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2021 წელს რეგიონული განვითარების ფონდით განსახორციელებელი პროექტების ნუსხა

№	დასახელება	სავარაუდო ღირებულება
1	ქალაქ ლანჩხუთში მრავალბინიანი შენობები ფასადების რეაბილიტაცია	300000
2	ქალაქ ლანჩხუთში 6 ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა	750000
3	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია	4200000
4	ქალაქ ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია	300000
5	ქალაქ ლანჩხუთში 7 ქუჩაზე ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა	1200000
6	ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში ყვავილნარში გზის რეაბილიტაცია	800000
7	ჟორდანიას სახელობის სკვერის მიმდებარედ ტერიტორიის რეაბილიტაცია	250000
8	ორაგვის ტურისტული ზონის ინფრასტრუქტურის მოწყობა	1200000
9	კურორტ გრიგოლეთში შიდა ინფრატრუქტურის მოწესრიგება	600000
10	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია	800000
11	სოფ. ჩიბათში კოლხეთის ეროვნულ პარკში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	573160
	ჯამი	**10973160**